№ 27.

# ივერია

წელიწადი პირველი

1 სექტემბ. 1877 წ.

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი:** I. სამოლიტიკო მიმოხილვა. —II. ომის ამბები. —III დიდოელების არეულობა და კახეთი.— IV. საქართველოს მატიანე.—V. თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელო თურილობა თელავში 1875—1877 წ. —VI. მგზავრის წერილები სვანეთზედ.— VII. განცხადებანი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის მარიამობისთვიდამ პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ხუთის თვისა სამი მანეთია.

## სამოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.**—საკვირველი ახირება იცის უბედურებამ. ერთი სულელობა რომ მოახდინოს რამე კაცმა უთუოდ მეორე და მესამეც თან უნდა მიაყოლოს. მაკ-მაგონისა და მისის მინისტრების საქმეც ამ გვარივეა. რესპუბლიკის სხვა და სხვა მოხელეთა განდევნა არ იკმარეს, ესლა გამბეტის დასჯა მოუსურვებიათ, რომელიც საფრანგეთის ყველა რესპუბლიკელთა მოთავეა. მისს დასს ეკუთვნის ხალხის უმრავლესობა. მაშასადამე, მისი დასჯა არის იმავე დროს ხალხისა და რესპუბლიკის დასჯა, მთელის საფრანგეთის შეურაცხყოფა. ესლა უკლდა მაკ-მაგონს თავის სახელის გატეხისათვის. საქმე ისევ მაკ-მაგონს წაუხდება, თორემ გამბეტის დასჯით საფრანგეთის რესპუბლიკის საქმეს არამც თუ დააკლდება რამ, არამედ უფრო გაძლიერდება და უფრო ღრმად გაუჯდება ხალხს ხორცში და კანში. ხალხმა უქმი მსხვერპლი არ იცის.

რაღა თქმა უნდა, რომ საფრანგეთისა და უცხოქვეყნის ყველა გაზეთებმა დიდი მრავალი გამოთქვეს მთავრობის განკარგულების შესახებ.

აი რას იწერება გაზეთი Temps: „როგა დღემ გაიარა მას აქეთ, რაც გამბეტას სიტყვა ცნობილ იქმნა, რაც იგი დაიბეჭდა და გარჩეულ იქმნა როგორც აქ საფრანგეთში, აგრეთვე საზღვარ გარეთაც, და არამც თუ მარტო მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთების მიერ, არამედ თვით კაბინეთის მომხრეთაგანაც. ზოგან აქეს, ზოგან აძაგეს გამბეტას სიტყვა. ეხლა დრო არისო—უფიქრია მთავრობას—მეც გავერიო საქმეშიო. მას უნდა ხელმეორედ აალაპარაკოს იმ სიტყვაზედ, რომლის შთაბეჭდილება თუმცა არ გამქრალა, მაგრამ მისი შინაარსი აღარ აწარმოებს ფიცხელ პოლემიკას. აი ჭკუა და ხერხი აქ არის! ეს საქმე (გამბეტის დასჯა) რა რიგად გაუგვარებს მთავრობას სახელს როგორც საფრანგეთში აგრეთვე ევროპაშია. ტყუილად კი არ ვიხსენიებთ ევროპას: ყველამ იცის რომ დღეს თუ ხვალ არჩევანი მოხდება, რომლისათვისაც მთელი საფრანგეთი ემზადება; ამგვარ გარემოებაში სიტყვა—პასუხის თავისუფლობა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, და მთავრობა ყოველის მხრით სარგებლობს ამ თავისუფლებით. იგი ამ თავისუფლების ძალით შეურაცხჰყოფს რესპუბლიკელთ, რომელთაც პირიქით ნებას არ აძლევს თავი გაიმართლონ. რა უნდა იფიქროს ევროპამ ამგვარ წესიერებაზედ? რაც შეეხება საფრანგეთს, იგი მალე გასცემს პასუხს, და მის გარდაწყვეტილებას უფრო მეტი სიმტკიცე და სიცხოვლე მიეცემა.“

უბედურებამაც იმგვარივე ახირება იცის, როგორც უგუნურებამ: ერთი და ერთი რომ გადაეკიდება კაცს აღარ მოეშვება; ყველა გარემოება თითქო განგებ ისე შეიჯგუფება ხოლმე რომ ბოლომდე აგრძნობინოს კაცს უბედურების სიმწარე. საფრანგეთის საქმეც ასეა. რადა უთუოდ ეხლა გარდაიცვალა ტიერი. ერთი წელიწადი მაინც მოეცადნა იმ უბედურს. გვაგონდება ის იმედი, რომელსაც მთავრობის მომხრე გაზეთები აღიარებდნენ ტიერის მოხუცების შესახებ. ამაზედ რესპუბლიკელნი უგებდნენ—თქვენის ჯაბრითაო ეხლა ტიერი ისე ჯანმრთელად არისო, როგორც არას დროს არა ყოფილაო. მაგრამ ბედმა თითქო მასხარად აიგდო რესპუბლიკელთა იმედი და საიქიოს გაიტაცა ეს ოთხმოცის წლის ბერი-კაცი. ტიერი ძალიან საჭირო კაცი იყო რესპუბლიკისათვის, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი მტკიცე მოღვაწე იყო რესპუბლიკის საქმისა. ტიერი არას დროს არ ყოფილა გულწრფელი რესპუბლიკელი. მისი ჭკუისა და გონების მიდრეკილება, მისი გულის წადილი მიქცეული იყო პირადის სარგებლობისაკენ და ხალხის ბედნიერებისა ბევრი არა ენაღვლებოდა რა. ამას გვიმტკიცებს მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა, რომელზედაც ცალკე მოგითხრობთ შემდეგში. მრავალ ცვლილებას დაესწრო ტიერი საფრანგეთში: კარლო X-ს მონარხიას, ლუი-ფილიპეს, მეორე რესპუბლიკას, ნაპოლეონ III-ის იმპერიას და ბოლოს მესამე რესპუბლიკას. ყველა ამ შემთხვევაში ტიერი იმ მხარეს იჭერდა, იმ დასს და იმ წოდებას მიუდგებოდა ხოლმე, რომელიც გამარჯვებული გამოვიდოდა ბრძოლიდამ. დღეს თავისუფლების მოყვარე და მოღვაწე, ხვალ იმავე თავისუფლების მრისხველი და მდევნელი—აი რა იყო ტიერი. ამგვარადვე ექცეოდა იგი რესპუბლიკასაც. როდესაც ბოლოს რესპუბლიკა დაარსდა საფრანგეთში და ტიერმა დაინახა, რომ მისი აღმოფხვრა შეუძლებელია—მაშინ ქვეყანას გამოუცხადა, მეც რესპუბლიკელი ვარო. ყველამ იცოდა რომ ტიერი ყოველთვის მძლავრისა და გამარჯვებულის მხარეს იჭერს. ეს თვისება და აგრეთვე ის გარემოება, რომ ტიერი მტკიცედ მიუდგა რესპუბლიკას, ცხადად უმტკიცებდა ყველას, რომ რესპუსლიკა მართლა დამკვიდრდა საფრანგეთში. ყველამ, ვისაც კი ეშინოდა რესპუბლიკისა და ყოყმანობდა მივემხრო რესპუბლიკას თუ არაო ფიქრობდა აბა თუ კი ტიერისთანა ზომიერი და დარბაისელი კაცი რესპუბლიკას მიუდგა რიღასი უნდა მეშინოდესო. რესპუბლიკელებიც ტიერის სახელით სარგებლობდნენ და ყოველ შემთხვევაში მხარს აძლევდნენ. რა ენაღვლებოდათ მათ როგორიც უნდა ყოფილიყო გულში ტიერი, ოღონდ კი ტიერი არ გასხლტომოდა რესპუბლიკას ხელიდგან. აი მაგალითებრ გამბეტა. ბევრი მწარე სიტყვა უთქვამს მასზედ ტიერს, მაგრამ გამბეტა ყურსაც არ იბღერტდა, რადგანაც კარგად ჰგრძნობდა, რომ ტიერი საჭირო კაცი იყო რესპუბლიკისათვის.

გარდა ამისა ტიერი საჭირო იყო როგორც მაკმაგონის მოცილე. ამაზედ საკმაოდ თქმულა „ივერიაში," და გამეორება საჭირო აღარ არის. ერთი წელიწადი მაინც მოეცადნა ტიერს, მანამ საფრანგეთი გამოვიდოდა იმ განსაცდელისაგან, რომელშიაც ჩააგდო იგი ეხლანდელმა მთავრობამ. მონარხიელთა დასმა უკანასკნელი ღონისძიება იხმარა თავის საქმის გატანისათვის. რა კი ეს ღონისძიება მოუცდებოდა მას, მაშინ მისი საქმე სამუდამოდ იქნებოდა დაღუპული. ეხლა ტიერის სიკვდილი ცოტად თუ ბევრად ფრთას შეასხავს მას და ვინ იცის რას არ აუტეხს საწყალს საფრანგეთს. მართალია ბოლოს და ბოლოს რესპუბლიკის საქმეს ვერას დააკლებს, მაგრამ ისიც საკმაო იქნება, რომ ახალი უბედურება მოავლინოს საფრანგეთის თავს. აწინდელი მთავრობა, როგორც ეტყობა, აღარას ზოგავს თავის საქმის გამარჯვებისათვის—არც სინიდისს, არც სამართალს, და ეხლა იქნება არც ხალხის სისხლი დაზოგოს. ტიერის შემდეგ საფრანგეთი უთუოდ რადიკალების ხელში ჩავარდებაო და მე მოვალე ვარ დავიფაროვო, იტყვის მაკ-მაგონი.

ტიერი გარდაიცვალა სენ-ჟერმენში, სადაც რამდენიმე დღის წინეთ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა მაზრის საბჭოს წევრთა წინაშე:

„ბატონებო, საბედნიეროდ მიმაჩნია თქვენი ნახვა და თქვენ მიერ აღიარებული თანაგრძნობა ჩემდამი. ჩემის აზრით, ადრევაც მითქვამს, საფრანგეთში მხოლოდ ერთი მმართველობაა შესაძლებელი—რესპუბლიკა. იგინი, რომელთაც არაფრის დადგენა არ შეუძლიანთ რესპუბლიკის მაგივრად და რომელნიც ყოველ დაბრკოლებას აძლევენ მას, ნამდვილი აღმაშფოთებელნი არიან,

საფრანგეთი იმათ მოსთხოვს ამის პასუხს. მაშ ენდეთ ჩემს მტკიცე სურვილს რესპუბლიკის დადგენისსას. გარნა ნება მომეცით იმავე სიმტკიცით სახელად ვუწოდო მას კონსერვატიული რესპუბლიკა, რადგანაც მის დამკვიდრებისათვის მას უნდა მოსდევდეს როგორც თავისუფლება, აგრეთვე მშვიდობიანობა.

„შეხედეთ რა რიგათ წარიმართა წრეულ ჩვენმა აზრმა და შეხედულობამ. ამ წარმატების მიზეზი ხალხის სიმშვიდე და სიმტკიცეა. ნუ გადუდგებით ამ საქციელს. ვიყოთ მშვიდად და მოიმედნეთ, გამარჯვება ჩვენკენ იქმნება. ჩემის მხრით არავითარი ეჭვი არა მაქვს ამ გამარჯვებისა; ყველაფერი მოგვისწავებს მას და მეც ამას უცილოდ გარწმუნებთ.“

ამ სიტყვით გაათავა ტიერმა თავისი სიცოცხლე, იმ ტიერმა, რომელიც ორმოც-და-შვიდის წლის წინეთ ნიჭიერის კალმით და ფიცხელის სიტყვით აღჭურვილი გამოვიდა საპოლიტიკო ასპარეზზედ ორლეანელთა მონარხიის დადგენისათვის.

—

**ინგლისი.** ინგლისის პარლამენტი როგორც მოგეხსენებათ ამ ჟამად დათხოვნილია და მერმისამდე აღარ შეიყრება. ამის გამო დღეს საპოლიტიკო ცხოვრება ინგლისში შემდგარია. მაგრამ თუ აწმყოში არა არის რა, წარსულში ხომ არის რამე. ერთი შესანიშნავი ამბავი უნდა მოგახსენოთ, რომელიც წრეულ ამოუჩნდა ინგლისის პარლამენტს და დიდად შეაფიქრა მთავრობა. ამ ამბავს მოგითხრობთ ერთის ლონდონელის კორესპონდენტის სიტყვით.

ირლანდიის საკოროლოს თავისი საკუთარი პარლამენტი არა აქვს; მას ჰყავს მხოლოდ თავისი დეპუტატები ლონდონის პარლამენტში. ირლანდია დიდი ხანია ნატრობს თვით მმართველობას, ინგლისის მფლობელობიდგან გამოსვლას. საკვირველიც არ არის, რადგანაც ინგლისი ჰყვლეფს და სცარცვავს ირლანდიას. შურიც მოსდით ირლანდიელებს: სხვა ინგლისის პაწაწკინა კოლონიებს აფრიკაში და ავსტრალიაში უპყრიათ თვით მმართველობა, საკუთარი კონსტიტუცია და პალატები, ირლანდიას როგორღა არ უნდა ჰქონდეს ყველა ესაო. ეს სურვილი იმდენად მტკიცედ არის გავრცელებული ირლანდიაში, რომ მის გულისთვის ზევრჯელ აჯანყებულა მისი ხალხი. ირლანდიის დეპუტატებს ლონდონის პარლამენტში მართალია თვით მმართველობა უწერიათ დროშაზედ, მაგრამ ცოტად თუ ბევრად აქამდისინ მშვიდათ მიჰყვანდათ თავისი საქმე და ამიტომ ინგლისი მოსვენებული იყო ირლანდიის შესახებ. ასე იყო მეთქი აქამდისინ. მაგრამ წრეულ საქმე სრულიად სხვაფრივ წავიდა და ძალიანაც ჩააფიქრა ინგლისი.

ირლანდიის დეპუტატთა შორის ორი მოუსვენარი წევრია, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ როგორმე ფეხი მოსდონ ინგლისის სახელმწიფო განწყობილებას. ამისათვის ისარგებლეს თვით ინგლისის კონსტიტუციით. ამ კონსტიტუციის ძალით ორს რომელსამე დეპუტატს აქვსთ უფლება მოითხოვონ, რომ პარლამენტში შეტანილის წინადადების განხილვა სხვა დროსთვის გადაიდვას. აი ამ უფლებით აღჭურვილნი ის ორი მოუსვენარი დეპუტატი, პარნელი და ბიგგარი, წამ და უწუმ აყენებდნენ ყოველ წინადადებას, რომელიც კი პარლამენტში გასახილავათ იყო შეტანილი. ამის გამო მთავრობისა და პალატის მოღვაწეობა ტყუილ-უბრალოდ იკარგებოდა. ჯერ-ჯერობით პარნელისა და ბიგგარის ჭირვეულობამ სიცილი აუტეხა ყველას, მაგრამ მერე კი როდესაც დაინახეს, რომ ეს ირლანდიის ახირებულნი წევრნი არა ხუმრობენ, საზოგადოებაში, პარლამენტში და ჟურნალ-გაზეთობაში საშინელი ქოთქოთი შედგა. „დიახ, გიშლით და დაგიშლით კიდეც საქმის წარმოებას—ყვიროდნენ პარნელი და ბიგგარი პარლამენტში. ამას ეძახით თქვენ კანონმდებლობას? თქვენი პარლამენტის მოღვაწეობა კანონმდებლობა კი არა, არამედ უსინიდისო მოტყუებაა... თქვენ გვაწვალებთ ჩვენ და ჩვენსავით აწვალებთ ყოველ სუსტ გვარ-ტომობას!..“

ყველა ეს რასაკვირველია დიდად საწყენია პარლამენტისათვის, მაგრამ რას გააწყობდნენ, რადგანაც ორი ზემოხსენებული დეპუტატი კონსტიტუციის საზღვარ გარეთ არ გამოსულა. პარნელი და ბიგგარი თავისაზედ იდგნენ. ბოლოს და ბოლოს, როდესაც სესსია თავდებოდა, პალატმა შემდეგი ღონისძიება მოიგონა: დღე და ღამ ვისხდებითო მანამ ჩვენ ჩვენს საქმეს არ დავაბოლოვებთო, აგები ის ორი დეპუტატი დავღალოთო და მით გავაჩუმოთო. მაგრამ საუბედუროთ ბიგგარსა და პერნელს ზოგი სხვა ირლანდიელი დეპუტატიც მიეშველა, ასე რომ რიგ-რიგზედ ისვენებდნენ, სჭამდნენ, ეძი-

ნათ და ლაპარაკობდნენ. პალატის სხდომა 26 საათის განმავლობაში არ შეწყვეტილა, და ბოლოს დაღალული დაქანცული ისე დაიშალა, რომ ირლანდიის დეპუტატებს ვერ ჰსძლია. ამგვარად წრევანდელმა სესსიამ ფუჭად ჩაიარა. ერთი ნუგეში შერჩათ ინგლისელებს: პარნელი და ბიგგარი არიანო განსაკუთრებულნი გვამნი, რომელთაც არ ეთანხმე-ბიან დანარჩენნი ირლანდიის დასის წევრნიო. ამ ნუგეშით დაიშალა პარლამენტი. მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ პარნელისა და ბიგგარის მოქმედება არამც თუ ხუმრობა და თამაში არ არის, არამედ შიშსაც მოასწავებს ინგლი-სისათვის.

21 მარიამობისთვეს დუბლინში (ირლანდიის სა-ტახტო ქალაქი) მიტინგი გაიმართა, რომელმაც დიდი მადლობა გამოუცხადა პარნელს და ბიგგარს და დიდი სამ-დურავი ირლანდიის სხვა მშიშარა დეპუტატებს.

დიდ-ძალი ხალხი დაესწრა ამ მიტინგს. მოზეტე-ლი ნაწილი მაღალი წოდების მუშა ხალხი იყო. დაბალი და გლახა ხალხი ქუჩაში იყო მოგროვილი. მთელი ქა-ლაქი ფეხზედ იდგა და დიდ მოძრაობაშიაც იყო.

„წავიდა ის დრო, როდესაც ირლანდია თავს იხრიდა და ითმენდაო“ სთქვა მღვდელმა ლაველმა. „ირლანდია სხვა გზას უნდა დაადგეს. იყო ერთი ბერი-კაცი, რომელსაც პატარა ბავშვი თავს აბეზრებდა. მოხუცი ჯერ ბალახს ესროდა, მერე ტალახს, მაგრამ ვერა ეშველა რა. ბოლოს ქვის სროლა დაუწყო და ეშველა კიდეც. ჩვენი პოლიტიკაც ამისთანა უნდა იყოს.“

„თუ ირლანდიის ხალხს ჰსურს, — სთქვა პარნელ-მა, — დასაჯოს და გაუსწოროს იმას, ვინც ყოველ ღო-ნისძიებას ხმარობდა ირლანდიის წევრთა დაჩაგვრისათვის. უნდა დასაჯოს და გაუსწოროს. პირ-შეკრულობა რას მიქვიან! განა ქურდთან, ავაზაკთან, მტარვალთან პირ-შეკ-რულობა შესაძლებელია? თუ ესეა, მაშ ინგლისის ქურდსაც ინგლისის ავაზაკსაც, ინგლისის მტარვალსაც ვერ მოუ-რიგდება კაცი. მე და ჩემს ამხანაგებს გვსურდათ მათ-თვის სიკეთე, გვსურდა გვეჩვენებინა მათის კონსტიტუ-ციის სისულელე, მაგრამ ვერა ისმინეს რა. ვნახოთ მაშინ რაღას იტყვიან, როდესაც მე და ჩემი მეგობრები აღვი-ჭურვებით იმ ბოროტების ძალით, რომელსაც იგინი თავს გვაყრიან.....“

„შევცვალოთ პოლიტიკა,“ შევცვალოთ, არ გვინდა მორიგება....“ ყვიროდა მიტინგი.

პარნელი და ბიგგარი დაბრუნდნენ თუ არა სასტუმ-როში შუაღამისას იძულებულნი იყვნენ ფანჯარაში გად-მომდგარიყვნენ და სიტყვა წარმოეთქვათ აღტაცებულის ხალხისათვის.

ყველა ამ მოძრაობაში ერთი გარემოებაა შესანიშ-ნავი და ინგლისებისათვის დამაფიქრებელი: ამ გროვას არავითარი ძალადობა, არავითარი ნიშანი აჯანყებისა არ დასტყობია, არამედ საკვირველი სიმშვიდე და წესიერება სუფევდა. ირლანდიაში ეს გასაოცარი საქმეა, რადგანაც ირლანდიის ხალხი ფიცხი, გულსწრაფი და გამბედავი ხალხია.

იმავე საღამოს ლონდონშიაც გაიმართა ირლანდიე-ლების მიტინგი, რომელმაც ისეთივე თანაგრძნობა გა-მოუცხადა პარნელსა და ბიგგარს. ამ მოძრაობის შესა-ხებ გაზეთის Times-ის დუბლინელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ჩემის აზრით ირლანდიაში რევოლიუცია მზადდებაო.

ინგლისსაც ტკივილი ასტეხია.

---

## ომის ამბები.

წარსულ კვირას შესანიშნავი ამბავი მოვიდა ევროპიის საომარ ველიდამ: 22 მარიამობისთვეს რუსის ჯარს ლოვჩა აუღია და დიდი ზარალი მი-უცია ოსმალოსთვის. ჩვენის მხრით მოკლულნი და დაჭრილნი ათასამდეა. ოსმალოს ჯარი მოგროვილი იყო, როგორც მოგეხსენებათ, პლევ-ნისა და ლოვჩის შორის, და ლოვჩაში რომ გა-მარჯვებულიყვნენ, მაშინ რუსის ჯარს ბალკანის მთის ჩრდილოეთით მიუდგებოდნენ. ეს ომი ძალიან დიდი და ცხარი ყოფილა თუ კი რუსის მხრით ათასი კაცი დაღუპულა. ინგლისის გაზეთე-ბი ამ ბრძოლას დიდს მნიშვნელობას აძლევენო.

— 23-ს სოფ. კადიკიოს ოსმალები დაესხმიან, მაგრამ ჩვენებს უკანვე გაუყრიათ. ჩვენის მხრით ოც და ათი მოკლულია და 150 დაჭრილი.

— 24-ს ოსმალები სოფლებს კაცელევს და აბლავას დაესხმიან. ჩვენი კაცელევის გუნდი იძუ-

ლებული გამხდარა უკან დაწეულიყო დიდის ზარალით. აბლავის გუნდს დაუმარცხებია ოსმალო. ბალკანიის მთებში მშვიდობიანობაა ჯერ. სულეიმან-ფაშა თავის ჯარის განწყობაშია თურმე.

— გაზეთის „Кавказъ"-ის კორრესპონდენტი კარაიალიდამ იწერება 29 აგვისტოს: „ტფილისიდამ მიწერილი ტელეგრამმა ბერლინის გაზეთის Post-ისათვის 13 აგვისტოს მასზედ, რომ ვითომც ჩვენ თავი დაგვენებებინოს არტაანისათვის—ტყუილია. არტაანი ისევ ჩვენ ხელშია და უპყრია ჩვენს ჯარს ამ ჟამად უფრო ძლიერს, ვიდრე აქამომდე.

— 27 აგვისტოს რუსის ბატარიები მიახლებულან პლევნას; მთელი დღე ზარბაზნის სროლა ყოფილა. საღამოზედ რუსის მემარცხენე ჯარს აუღია და დაუჭერია მაღლობნი პლევნოს სამხრეთით და ამ საქმეში დაზარალებია ხუთასი კაცი. რუსის ჯარის შუაგული და მემარჯვენე ჯარი ოსმალოს სანგლებზედ შვიდას საჟენის სიახლოვეს მისულან. სოფელი უშვიცი რუსებს დაუჭერიათ. შუაგულისა და მემარჯვენე ჯარის ზარალი დიდი არ არისო. მთელი ღამე სროლა ყოფილა და მეორე დღეს 28 აგვისტოს უფრო გაძლიერებულა.

რაგუზიდამ იწერებიან, რომ 27 აგვისტოს ციხე-ნიკშიჩი ჩერნოგორიელებს აუღიათ.

— ბუხარესტიდამ (რუმინიის დედა-ქალაქია) გაზეთს Новое Врѣмя-ს 28 აგვისტოდამ ჰსწერენ: ოსმან-ფაშის ჯარს პლევნასთან გარს შემოერტყა რკინის სალტესავით რუსის ჯარი; ყოველ დღე ომია, რუსის ჯარი თან და თან მჭიდროდ ერტყმის გარს ოსმალოს ჯარსა.

---

## დიდოელების არეულობა და კახეთი.

ბევრი ტყუილ-უბრალო ჭორი დადიოდა და დადის დიდოელების არეულობის შესახებ. მე ზედ-მიწევნით შევიტყე ამ საქმის სრული ვითარება და მსურს ყოველივე რაც ვიცი ამ საქმის თაობაზედ მოვახსენო მკითხველსა. ჯერ გიამბობთ მას, რაც მოხდა თვითეულად და ბოლოს მოგახსენებთ მიზეზსაც, რის გამო მოხდა.

31 მაისს მე კარგა ამაღლებულს გორაკანზედ გამრიელებული მკა მქონდა ქერისა. ვიდექ გორაკანზედ და გადავყურებდი ჩვენს ლამაზს კახეთს, რომელიც მრავალ-ჯერად აზიზინებული და მორთული ჩემ თვალთა წინ იყო გადაშლილი. მე მგონია მთელი კახეთიც ჩემსავით შეჰხაროდა უხვად მოსულს ნალვაწ-ნადაგ ჭირნახულსა. ჩემ წინ მუშები მკიდნენ ჩემს ყანასა.

თუ გინადირნია როდესმე, ჩემო კარგო მკითხველო, გეხსომება ტანის-რხევა იმისა, როდესაც ის კაცის სიახლოვეს იგრძნობს: შედგება, გამოიჭიმება, ყელს მოიღერებს და მძიმედ ჭყნოსავს თითქო შეუჩვეველი, უცხო რამ სუნი მოესმაო. ასე მოუხდათ ჩემის ყანის მომკელთაცა. ვიღაცანი მოვიდნენ მათთან, უცბად ყველამ მკას თავი დაანებეს, შედგნენ თითქო ფეხის თითებზედ და დაღისტნის მთებისაკენ ყურება დაიწყეს. ვუმზერ და მიკვირს, შევყურებ და მიოცს.... ერთი ჯგუფა ხალხი ჩემკენ გამოიმართა,—მოვიდნენ სალამი მომცეს, მომილოცეს ჭირნახულის მშვიდობით შევლება. არა გვარი აღშფოთება მათ სახეს არ ემცნეოდა. მოსვლოდათ ამბავი ვითომც დიდოელნი კახეთს დაცემას უპირებენო. ამ ამბავმა სრულიად არ შეუშალა გუნება მომკალთა: ხანგრძლივმა მშვიდობიანობამ, ლეკებთან ახლოდ დამეგობრებამ, ნამეტნავად დიდოელებთან, რომელნიც თითქმის ყოველ ზამთრობით მათ შორის იკვებებიან—სრულიად წინ აღუყენა-ხალხი ამ ჭორსა. მეც ტალ-გვესი დაუკარ და ვუსაბუთე წინააღმდეგი.

პირველს თიბათვეს კი ეს ამბავი მთელს კახეთს მოჰსდებიყო. ხალხი აღიძრა. ერთმანერთში მითქმა-მოთქმა, მაზრის უფროსთან სირბილი გახშირდა. მთებიდამ ჩამოსულმა მწყემსებმა გვიამბეს, რომ დიდოელები სამასს კაცამდე დასცემიყვნენ თუშების და კახელების ცხვარს, დაეხოცნათ ხუთმეტამდე მწყემსი და ცხვარიც გაერეკნათ. მასთანავე მწყემსები უმატებდნენ, რომ შეგროვილი შეიარაღებული და შეკაზმული ზაირალებით ჯარი კახეთს დაცემას უპირობსო. ასტყდა ერთი აღიაქოთი და ღრეობა. იცით ვინ უფრო განაძლიერა ეს შფოთი და აღრეულობა? მოვაჭრეებმა, რომლებიც კალში პურის მოსაგროვათ სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ჩაფრებმა, რომელნიც დარბოდნენ სოფელ-სოფელ უფრო იმისთვის, რომ უპატრონოს რასმეს წასცვეტოდნენ და თავის საკუთრებად გაეხადნათ.

რამოდენიც დრო გადიოდა, უფრო და უფრო საშინელი ხმები მოჰქონდათ უფროსი ერთი თელავიდან. ამბობენ, რომ სწორედ ამ დღეებში ერთი ვაჭარი, რომელსაც ვითომ ვაჟკაცობისთვის წმინდის-გიორგის ჯვარიც ჰკიდია მშიშარა გულზედ, მიდევნებულიყო სოფელს კონდოლს, და რა გაეგლო რამდენიმე ვერსტი თელავი

დან, რაღაც მოეჩვენებოდა. ამბობენ, მოტანტალე სოფლის პირად ძაღლები ლეკებით მიელო, მოეტრიალებინა ცხენი და სიცოცხლე თქვენა გქონდეთ იმის მათრახს ჯავა დასდგომოდა, მოვარდნილიყო თელავში ყვირილით: „ჯარი ხიდზედ მოვიდაო."

ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი გმინვა, ღრიალი ალიაქოთი ატეხილიყო. მთელი თელავი ქცა თურმე ერთმანერთს,—ტირილი, ღრიალი, გულის წუხილი, ზედაგორვა, ბავშვების ჭყლეტა, დამძიმებულის დედა-კაცების სულის-ლევა *) და სხვანი და სხვანი. სიცოცხლე თქვენა გქონდესთ თელავის ვაჭრები კბილების წაგწაგით მოაყოლეს; გამოჰქონდათ ვალში წართმეული თოფები და ხალხს ეხვეწებოდნენ წაიღეთო, ოღონდ კი გვიშველეთ რამეო. ესლა განა? როცა თოფის აღების დროა, შენი ჭირიმე გვიშველეთო, თქვენა ხართ რაც ხართო, და როცა მშვიდობაა შენი ოფლი ჩვენო!....ამბობენ, ზოგიერთმა თელავის ვაჭრებმა ეკკლესიაში შეიტანესო თავიანთი ფარჩეულობა და კარები აგურით ამოუშენესო. ვაი დროს....ვაი ხალხს! ...

თელავში ტვინი არა ვის შერჩენოდა, მარტო ერთი მამუკა ჭავჭავაძე დარბოდა თურმე და ხალხს გულს უმაგრებდა, ნუ გეშინიანთ, არაფერიაო. რა გგონიათ, რას აკეთებდა მაზრის მმართველი დურბინდებით შეჰყურებდა ფერ-მიხდილნი დაღისტნის მთებსა, თითიც არავინ გაანძრია. ამ გვარს ყოფას თელავისას, სადაც ციხეც არის, ჯარიც, მაზრის უფროსიც და სხვა გამოცდილი და გამოუცდელი ხალხიც, არ შეიძლება ცუდი ზედ-მოქმედება არ ჰქონოდა საწყალ სოფლელებზედ. ეს უკანასკნელნი ბოლომდის არ იჯერებდნენ ამბავსა, მიუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს და ჯერ კიდევ გამოელოდნენ სწორეს რასმეს შეგვატყობინებენო. მალე შეიტყეს სწორე და მეტად სანუგეშო ამბავიცა: ჩამოიარა ჩაფარმა და შემდეგი ბძანება გადაჰსცა ხალხსა: „ლეკის ჯარი მოდისო, თქვენს თავს თქვენვე უშველეთო"

ნეტა იმ კაცის გოგრას, რომლიდამაც ამ გვარი განკარგულება გამოვიდა!...

ამ ბძანებამ უფრო დააფეთა ხალხი და არივა. თქვენს თავს თქვენ უშველეთო!...რით და როგორ? მივარდა საწყალი გლეხი თავის თაროსა, დაუწყო ძებნა თოფ-იარაღსა, მაგრამ სად არის!...მოაგონდა რომ თოფ-იარაღი პრისტავმა გაუყიდა ოჰანეზამს ვალში . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . იცემს გულში ხელს იმედ-მიხდილი, უთოფ-იარაღოთ დარჩომილი გლეხი და იძახის: „აბა ის ფაშვ-გადმოგდებული . . . . ესლა გამიძღვეს წინ, ვალში რომ წამართო, იმ თოფითა, მე კიდევ იმისის აღლით უკან მივუგები."

მაგრამ იმ ფაშვ-გადმოგდებულმა . . . . თავისის თავის უკადრი იცის. როცა მშვიდობიანობაა პრტყელ-პრტყელად ლაპარაკობს, ზვიადობს და ჰყვლეფს ვინც კი მოხვდება და როცა კი გაჭირებაა, შიშია და ვაი-ვაგლახი ფეხის ტალახათა ხდება და იხვეწება მიშველეთო. რად წავა წინ? ამისათვის გულ-ხალვათი, გულ-მართალი ქართველია ქვეყანაზედ; წავა მტერს შეაკვდება, ვაჭარი მტრისაგან დაიხსნის და მერე ვაჭარი მადლს იმით გადუხდის, ზომ სიცოცხლის ტვინს ამოსწოვს და თავის კაცობაზედ და ვინაობაზედ ბაქიობას მოჰყვება, ჩვენ ესეთნი და ესეთნი ვართო. რაც უნდა იყოს, ჩემო ძმობილო ვაჭარო, კაცად კი თავის დღეში ვერ გახდები, ვერა და ვერა!...ხელი ავიღოთ ამ კაცობიდამ ხელ-აღებულს კაცზედა და ისევ ჩვენს ამბავს მივუბრუნდეთ.

ორს თიბათვიდამ რვამდე ამ გვარს ალიაქოთში იყო ხალხი: ურმების ჭრიალმა გააჭირა საქმე, მთელი კახეთი თელავის მხარეზედ გამოიხვეტა. დაანებეს თავი ჭირნახულებს, ვენახებს, საქონელს და ამ უპატრონო საქონელმა კიდევ წაუსვა პირი ყანასა და ვენახსა და ითარეშა თავის ქეიფათ. სხვა რა უნდა ექმნა ხალხსა? იარაღი იმას არა ჰქონდა, თოფი და წამალი, მოთავედ და პატრონად იმას არავინ გამოუჩნდა და აირია ხალხი უმწყემსო ცხვარივით. გვიკვირდა და გვიოცდა....

ესეც კი უნდა ვჰსთქვათ, რომ ალაზნის მარცხენა მხარეს ისეთი ბლავილი არ იყო, როგორც თელავში. ღვთისა და თქვენის წყალობით, მკითხველო, იქ ორიოდე კაცი კიდევ მოიპოვებოდა მამა-პაპის მგზავსი. თუმცა ბევრმა თავისი სახლობა აქედ მხარეს გამოხიზნეს, მაგრამ მამა-კაცებმა არ დაჰსტოვეს თავისი ქოხები და თავის სახლებში დარჩნენ. პირველს თიბათვეს საღამოს ჟამს მართლადაც დიდოელები დაჰსცემოდნენ ცხვრის ბი-

*) ორი ბავშვი სწორედ გაჭყლეტილან და ერთი ორსული დედაკაცი მომკვდარიყო უდროოდ მშობიარობის გამო.

ნებს ყადორიდამ მოკიდებული ხიტრახოს, ხუფროს და შილდის მთებამდე, წაესხათ მრავალი ცხვარი, დაეხოცნათ მწყემსები. თ. ნიკა რუსიევს (უმაწვილობითვე ნამსახური მილიციაში და მთებში ნავალი) ჩვეულებისა მებრ არ სწყაშნიკებია ეს ამბავი; დაუყოვნებლივ მოუგროვებია ოციოდე მარჯვე შილდელი ბიჭი, გამოჰსდგომია მდევრად მტერსა, მიჰსწევნია, დაუხოცნია რამდენიმე ლეკი და სამასს სულამდე ცხვარი დაურჩევინებია და დაურიგებია პატრონებისათვის. ამ ოცს კაცში ათს ძლივ ჰქონია თურმე წესიერად გამართული თოფ-იარაღი.

ვაი კახეთო! რა დროს მოესწარ, რომ თოფ-იარაღიც აღარა გაქვს!...ვჰსტირ და ვალალებ შენს ამ ყოფაზედ... ცოდვა არ არის, რომ შენ ეგრე ხარ!... თ. გიორგი ჯორჯაძეს, რომელსაც დიდოელები და ანწუხკაპუჭი აბარია და რომელიც იმ დროს თავის სახლში ენისელში იმყოფებოდა,—31 მაისს მოსვლოდა ნაიბისაგან დიდოელოების არეულობის ამბავი. ამასაც მაშინვე ეცნობებინა ტფილისში უმაღლეს მთავრობისათვის და აგრეთვე ადგილობრივ მმართველისათვისაც. ამ უკანასკნელისათვის სხვათა შორის მოეწერა, რომ კახეთს შიში არაფრისა არა ჰქმართებსო, დიდოელები კახეთში ვერ ჩამოვლენო და ხალხის დასამშვიდებლად და უფრო იმისთვის, რომ შირნასული უპატრონობით ხალხს არ დაეღუპოსო, ჰსთხოვდა მმართველს (უეზდის ნაჩალნიკს) დაევლო თვისი მაზრა, დაემშვიდებინა ხალხი; ცხვრის დაერევინებისათვის და უფრო იმისთვის რომ ხალხი დახატრიჯამებულიყო ურჩევდა სამასიოდე კაცი მოემზადებინა თოფ-იარაღით და ყადორზედ აეგზავნა. მაგრამ შენც არ მომიკვდე, მმართველმა თელავიდამ ფეხიც არ მოიცვალა. ამბობენ იმან ეს თურმე უპასუხა თ. გ. ჯორჯაძეს: „მე ჯერ ბძანება არ მომსვლია, ვერასფერს განკარგულებას ვერ მოვახდენო." აბა „კარატკო და იასნო",—ეს არის აი. აშენდა ქვეყანა....

ჰსწერა და ჰსწერა მაინც თ. გ. ჯორჯაძემ ადგილობრივს მმართველსა და იქაც სადაც ჯერ იყო, —„სხვა არა იყოს რაო, ავაზაკები და ქურდები აიკლებენ ხალხსაო, შირნასული დაიღუპებაო, დაამშვიდეთ ხალხი და გამოიყვანეთ ჯარიო. ამ მიწერ-მოწერაში რომ იყო, თ. გ. ჯორჯაძეს მოსდიოდა ყოველ დღე მოხსენება, რომლიდამაც ვტყობულობდით, რომ აჯანყებულთა რიცხვი დღე და დღე მატულობს; რომ თვითონ დიდოელებს რამდენჯერმე სროლაც ჰქონიათ ანწუხისა და კაპუჭის მილიციასთან, რომელიც შედგენილი იყო თ. გ. ჯორჯაძის განკარგულებითა იმ განზრახვით რომ, პირველი, საზღვრები შეემაგრებინათ და, მეორე, აჯანყებულების გავლენა მოესპო იქაურებში. ამბობენ, რამდენჯერმე ნაიბი თურმე ჰსწერდა სხვათა შორის ამასაც: „მე მიკვირს, რომ ამ ხნის განმავლობაში . . . . . არა გვარი ღონისძიება არ მიიღო ჯარის გამოსაგზავნად. . . . , . . . . . . . . . . . თუ რომ ჯარი არა გყავთ, . . . . . . რუსული „ფურაშკები" ხომ იშოვება ქალაქში, მოაგროვეთ ვინც უნდა იყოს ოღონდ რუსული „ფურაშკებით" კი მორჭრთეთ, აქ გამოგზავნეთ და გარწმუნებთ ეს წუნკალა დიდოები მაშინვე დაიქსაქსებიან."

ვერც რუსული „ფურაშკები" და ვერცარა ჯარი ვერ მოხერხდა.

შვიდს თიბათვეს მობძანდა სოფ. ენისელში (**Командующій войсками на Алазанской долинѣ**) ღენერალ-ადიუტანტი თ. რევაზ ივანესძე ანდრონიკაშვილი. მისის მართლა რომ სასტიკის ბძანებისა გამო რვას დილით გამოეყვანეს ადგილობრივ მცხოვრებთაგან ჯარი სამასს კაცამდე. ამას გარდა ერთი ბატალიონი და არტილერია თავისის ზარბაზნებით გზაზედ იდგა და ენისელს მოდიოდა. მართლა და დიდი მნიშვნელობა ჰქონია როცა ხალხი კაცს ვისმეს ერწმუნება: თ. რევაზ ივანესძეს დანახვამ გააცოცხლა კახელები. გარწმუნებთ იმ დროს რომ მტერი შამოსიებულიყო სულ მუშტით გაჰიდოდა ხალხი. კარგი მწყემსი კარგი ყოფილა.

გაცოცხლდა ხალხი, გაცოცხლდნენ თელაველი ვაჭრებიც, ნამეტნავად ზარბაზნები რომ დაინახეს, ასე იფიქრეთ, გაპურადდნენ კიდეც. ვის გაუგონია ჩვენი ვაჭრის პურადობა, მაგრამ ამბობენ, ბატალიონის აფიცრებს სადილი გაუკეთეს თურმე, კარგა რჯულიანად მიათვრეს და სალდათებისათვისაც ეთავაზებინათ რაღაცეები. შიშმა ასე იცის. ყველამ გაიღვიძეს, სადღაც ხმლებიც იშოვეს, ჩამოიკანკურეს და იმათ რახა-რუხს კაცი ვერ ასდიოდა. დალოცვილებს აქამდინ ჩამოეკანკურებინათ ის ხმლები და რახა-რუხი აეყენებინათ!...

რვას დილით შეიკრიბა ჯარი ენისელში, ამ ჯარს შეადგენდა: ერთი ბატალიონი ტფილისის ადგილობრივის პოლკისა,

თითო როტა თელავისა და სიღნაღის კამანდისა, სამასი ქვევითა ჯარი კახელებისა და ორასი თუშ-ფშავ-ხევსურის მილიციისა.

„დაჰკრეს დალაბანდი, ხევსურისა არ იყოს, დადგა დარიუ-რუ და შექმნეს ცხენ-ჯორაკებმა ტლიკინი.“ მართლა და საჭყივლეს ზურნა, გაიმართა ორპირი, გაცოცხლდენ, გავცოცხლდით!

წინამძღვანათ ამ ჯარისა თ. რევაზ ივანეს ძემ დანიშნა პოდპოლკოვნიკი თ. გიორგი ჯორჯაძე. გასვლის მეტი აღარა უჭირდა რა ჯარს, მაგრამ აქაც მცირედი ხიფათი რამ შეემთხვათ: თურმე ნუ იტყვით, არც წამალი იყო, არც ტყვია და მგონი „სუხარიც“ ნაკლებათ გხლებოდათ. ესენი ყოველის ფერი ქალაქიდამ დაებარებინათ და ჯერ არ მოსვლოდათ.

აქვე რომ არ დაგვავიწყდეს მოვიხსენებთ ერთის დიდოელების წინად განზრახულს მოქმედებას. თითქმის ერთის თვის წინად გიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, დიდოელებმა რაც კი თელავში გოგირდი და ტყვია მოიძებნებოდა სულ თურმე შეისყიდეს და ვერარავინ გაუგო. ბოლოს თ. გ. ჯორჯაძეს სამი კაცი მსყიდველ დიდოელთაგანი დაეჭირა და იმათ აღმოეჩინათ ეს ამბავი. როცა თ. გ. ჯორჯაძეს ესენი ტუსაღად თავისის ანაბარებით გაეგზავნა ციხეში, მხოლოდ მაშინ გაებღერტნათ ყურები თელავში და მხოლოდ მაშინ აჰკანკალებოდათ ვაჭრებს თავიანთი ხარბი და ყალბი გულები. ოღონდ ხარბმა და ყალბმა თელაველმა ვაჭარმა კი გაისაღოს რამე, თორემ წინდამხედაობა ღმერთმა სად მიჰსცა. მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდძალი გოგირდი და ტყვია იყო თელავში, თითქმის სულ ერთის კვირის განმავლობაში გაიყიდა ლეკებში და ვერავინ კი რა მოისაზრა. ვაჭრებს ჰკსთქვათ სისხარბემ თვალი აუბა როგორც ყოველ ჟამს, სხვა რას ჰფიქრობდა? ის გოგირდი ხომ შეიძლებოდა ხვალ წამლათ ქცეულიყო და ტყვია კიდევ ჩამოსხმულ ტყვიათ და ისევ იმ გაბღერილს ვაჭარს მოჰხვედრიყო ულმობელის ლეკისაგან!....

რვას თიბათვეს საღამოზედ თ. რევაზ ანდრონიკაშვილმა გაჩხრიკა ჯარი, მიჰსცა ჯეროვანი დარიგება და განკარგულება როგორც ჯარის-კაცთ ისეც მათ მეუფროსეს და მას შემდეგ წაბძანდა ისევ თუქურმიშას.

დანიშნულება ამა ჯარისა თანახმად მიცემულის თ. რევაზ ანდრონიკაშვილისაგან ბძანებისა, იყო შემდეგი: ჯარი უნდა გადასულიყო დიდოში, დაემშვიდებინა დიდოელები, აჯანყების მოთავენი შეეპყრა და მთავრობისათვის გარდაეცა დასასჯელად; ცდილიყო დაეკმაყოფილებინა დიდოელებისავე ქონებიდამ ცხვარის პატრონები, რომელთაც ზიანი მოუვიდათ. ხოლო სასიკვდილოდ უნდა გაემეტებინა დიდოელები მხოლოდ მაშინ, თუ ჯეროვანის ღონის ძიების მიღების შემდეგ, არ ისურვებდნენ თავის დაკვრას, დამორჩილებას და დაზიანებულების დაკმაყოფილებას.

ცხრას დილით შეიკრიბა რაზმი, გამოთხოვების მტლაშა-მტლუში ისმოდა ყოველ მხრივ. ბევრიც კი ობლად იდგა თავჩაღუნული, რადგანაც ბევრს არავინ ჰყვანდა იმისთანა, რომ გამოსთხოვებიყო. წინამძღვანმა გასინჯა ჯარი, ჯეროვანი სალამი მიჰსცა და უბძანა წასვლა. ჯარიც დაიძრა. დიდხანს ვუმზერდი მიმავალს ჯარს, უფრო დიდხანს და დიდხანს ყურს ვუგდებდი ჩვენის კახელების ორპირს, დიდხანს ვიმეორებდი იმათ ნათქვამს სიმღერას:

„ქართველო, ხმალი ხელს იკარ, გათენდა დღე დიდების,
თოფ-იარაღი აისხი, დრო არის გამარჯვების.“

დიდხანს ვუმზერდი, დიდხანს ვუსმენდი, ამიკვნესდა გული, ამიფეთქდა სული და რაღაც სურვილმა წამიღო. სამგლე-გოჭსავით გამიტაცა იმ სურვილმა. მეც დავკარ ფეხი, გამოვუდეგ ჯარს, შევერიე ჯარში და გავწიე, მეც თქვენთან, მეთქი! ძმა ძმისათვის და ამ დღისათვის, მეთქი!...

სოფ. საბუეში ჯარმა პარაკლისი გადიხადა და ისე გაუდგა გზასა. ზოგიერთი გულგახეთქილი დაბრუნებულიყო შინ, როცა ჯარი გზას შეუდგა. რათა როგორ გგონია, მკითხველო! ის რად არის უფროსად, რატომ მე არა ვარო; ასის თავად ის რად გახადეს და მე არაო. ვაი თქვენი ბრალი ქართველებო! ერთმანეთის შურით, წაწყვით და მტრობით ნეტა იცოდეთ ვის ახარებთ. ახლა ამას ბოლო აღარ უნდა ჰქონდესთ!... აი სომხებს მაინც მიხედეთ: . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

. . . . .

(შემდეგი იქნება.)

ჭიჩოელი.

## საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენცია.)

თრიალეთი.—აგვისტოს პირველ რიცხვებში მე მოვიარე თრიალეთისა და ლორის საპრისტაო და რაც აქაურობის ავი და კარგი შევიტყე, გისწრაფი გაცნობოთ, რადგანაც ღირს-საცნობია.

ამ ჟამად ამ ადგილებში საშინლად გავრცელებულია საქონლის ჭირი, თურქული კი არა—მომსვრელი ჭირი. ეს ჭირი ნამეტნავად გახშირებულია წალკაში, გომარეთში, გარანცოვკაში, ყარახაჩისა და აგრიყარის მთებში. ეს კიდევ არაფერი,—სამწუხარო ის არის, რომ აგრიყარისა და ყარახაჩის მთებში საზაფხულო საძოვარზედ მოსულია და იმყოფება აუარებელი საქონელი, ცხვარი, ჯოგები კახეთისა, შირაქისა, თიანეთისა, დუშეთისა, ქართლისა, ბორჩალოსი და ყაზახისა. აგვისტოს უკანასკნელ დღეებში ეს ამოდენა საქონელი დაიძვრის და თავ-თავისაკენ წავა საზამთრო ბინებში და ადვილად შესაძლოა, რომ მთელს ტფილისის გუბერნიას მომსვრელი ჭირი საქონლისა მოჰსდონ და დაღუპონ ქვეყანა. აქაური მოხელენი ყურსაც არ იბერტყენ. ერთს აქაურ პოლიციის პრისტავსა ვკითხე:—რატომ არ აცნობებთ მთავრობას, რომ ამისთანა საშინელი ჭირია?

მან პასუხად მომიგო: არც ერთსა სოფლის მმართველობას აქნობამდე არ უცნობებია ჩემთვის „რაპორტით“ რომ ნამდვილად ჭირია საქონლისა და მე ჩემად ვერ შევატყობინებ უმაღლეს მთავრობასაო, მანამ საფუძვლად არ მექნებაო სოფლის მოხელეთა „რაპორტიო.“

ვიშ, ამ პასუხს!....

მეტად საჭიროა, რომ მთავრობამ ყურადღება რამ მიაქციოს ამ უბედურობას, რომელიც შეიძლება მთელს გუბერნიას გადედოს, თორემ შენი მტერი რაც საქონლის პატრონებს დაემართებათ....

თრიალეთისა და ლორის საპრისტაოს სამზღვარზედ, ფიზანაურის ხეობაზედ, ლოქის სერზედ მდებარეობს ერთი საოცარი სოფელი—ყამიშლო უწინდელის ნასოფლარის ფიზანაურის ადგილს. ეს სოფელი საოცარია იმით, რომ მასში კამერალიის აღწერით ოცდა ხუთ კომლამდეა; მაგრამ ამათ არც მოხელე ჰყავთ, არც გამგებელი, და არც სხვა რამე მმართველობის მაგვარი წესი და რიგი აქვთ. ეს სოფელი გაშენდა 1869 წ მთავრობას როგორღაც მოსვლია და ეს სოფელი არც ერთის სოფლის საზოგადოებისათვის არ მიუწერიათ და თვითონ სოფელი საკუთარ ცალკე საზოგადოებათაც არ გაუხდიათ. ამის გამო ამათ არც მამასახლისი ჰყავთ, არც გზირი, არც ნაცვალი და არც მოსამართლენი და არიან ესე უთავბოლოდ. საოცარი სოფელია, მაშ რა არის!..

ორს აგვისტოს თრიალეთის საპრისტავოში ქარვასლების სისწვრივ გაჩნდა თეთრი ღრუბლები, უეცრად დაჰქროლა საშინელმა ქარმა და წამოუშინა სეტყვამ და მოჰყვა ზედ ნიაღვარი. სეტყვა თითქმის სამი საათი მოდიოდა და იმოდენა სეტყვა ჩამოცვივდა, რომ მეორეს დღეს საღამომდინ ბიჭები მუჭებით ხვეტდენ სეტყვასა. სეტყვა სიმსხოთი ბერძნულის თხილის ოდენი იყო. მინდვრებში დიდი ზარალი არა მიჰსცა რა, რადგანაც ყანები დამკილი იყო და ბალახი გათიბული, ხოლო ძალიან დაასველა ძნები. უნდა ვიფიქროთ, რომ გომარეთისა, ახისა, სატისა, ყარაბულახისა, ეგრისისა, ამბარლოსი, დემურბულახისა, ერკიმაშვილის სოფლისა და ყიზლაბილის პურები ალაო იქნება. ზარალი მიეცათ მხოლოდ იმ ბერძნებს, რომელთაც ქციის ხეობაზედ ხრამში და ზვირთაკეტის ხეობაზედ თამბაქო ჰქონდათ დათესილი. ამათ სეტყვისაგამო წლევანდელის თამბაქოს მოსავალზედ სრულიად ხელი აიღეს. ამათ გარდა ზარალი მიეცათ სოფელ ახის მცხოვრებელთ: ნიაღვარმა ამ სოფლის საქონელი მოიტაცა და ოცდა ათ სულამდე ცხენი და საქონელი დაახრჩო.

ამ ზაფხულს ახალქალაქის მაზრაში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. თრიალეთის მთებში თ. ორბელიანთ მამულებში საძოვრად იმყოფებოდა თავის ბინაზედ, როგორც კულავ, უფ. ნიკოლოზ შადინოვის ცხვარი. ეს ცხვარი მწყემსებმა ჩარეკეს მომიჯნავე სოფლის ბუღდაშენის სათიბში. მთელი ბუღდაშენის სოფელი, აქაო და ჩვენს სათიბში რათ შემოუშვით ცხვარიო, გამოვიდა კეტებით, კარგათ მიჰბეჟეს მწყემსები და ორას სულამდე ცხვარი მოსხლიტეს და წაართვეს. მწყემსებმა ეს ამბავი აცნობეს დანარჩენთ მო-

ნამგლეთ, რომელნიც აღიჭურვენ კეტებით და თოფებით და დაეცნენ ბუღდაშენის ცხვარს და ხუთას სულამდე მოჰსტაცეს. რასაკვირველია ამასობაში საშინელი ჩეხა იყო თავზირისა ორივეს მხრით. ამ ჩხუბის დროს მოვიდა სარქარი შადინოვისა ზალიკა, კაცი ძალიან კარგი, უწყინარი, ზდილობით სავსე და ჭკუიანი, ხმა მოჰსცა მწყემსებს რომ გაშველებულიყვნენ. ხოლო ბუღდაშენის მამასახლისმა თავიანთ სოფლელებს დაუძახა: „მიზეზი სულ ეგ არის, მაგას დაჰკარითო". დაჰსცეს უბედურს თოფი და სული იქავ განუთხევინეს. მაშინ შადინოვის მწყემსებმა უფრო ხელი გამოიღეს, დაჰსჭრეს ერთი ბუღდანელი კაცი თოფით და დაერივნენ ჯოხითა, ხლმითა, ქვითა და რითაც მოხვდათ; გაირეკეს წინ, სდიეს სოფლამდე და ბოლოს წართმეული ცხვარი წამოასხეს.

ადგილობრივ მთავრობამდე ამ ამბავმა მიაღწია. სოფლებს ცხვარი დაუბრუნეს, ამ ჩხუბის მოთავენი დაიჭირეს და გარდასცეს გამომძიებელს საქმის გამოსაძიებლად.

15 აგვისტოს თრიალეთის პრისტავს მოუვიდა უწყება ახალ ქალაქის მაზრის უფროსისაგან, რომ დუხობორების სოფლებიდამ შუადღისას 600 სული ცხენი მოიტაცესო და კვალი აგრიყარის მთებზედ თრიალეთის საპრისტავოში გადმოვიტანეთო. საკვირველი ეს არის რომ რაც უნდა მოხდეს ახალქალაქის მაზრაში, მაშინვე თრიალეთს გადმოჰსწვდებიან იქაურნი ხელის-უფალნი. არ ვიცი რად ივიწყებენ ჩილდირის ხალხს, ორთულოს ავაზაკებს, რომელნიც ჯერ კიდევ ომიანობამდე იტაცებდნენ საქონელს არამც თუ ახალ ქალაქის, არამედ ტფილისის მაზრიდამაც. მაინც და მაინც საოცარი რამ იქნება, რომ ამ 600 ცხენის ამბავი ამ ცოტას ხანში არ აღმოჩნდეს, რადგანაც ექვსასის ცხენის გაპარება და დამალვა არამც თუ თრიალეთზედ მთელს გუბერნიაშიაც შეუძლებელია. მაგრამ ვინ იცის!... ხანდისხან შეუძლებელიც შესაძლებელია.... მაგალითი ერთი და ორი არ ყოფილა.

გ. ო.

---

## თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელოთ ყრილობა ქ. თელავში

(შემდეგი) (*)

### III

უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია...
ამათ, რომე კაცსა კაცს ამოსა ეუბნებოდეს,
მან გაუგონოს, რაცა სთქვას, არ ცუდად წაუხდებოდეს.
რუსთველი.

სამღვდელოთ ყრილობა 9/10 იანვარს 1877 წ. მკითხველმა უკვე იცის, თუ რა განკარგულება დასდო 8/9 მაისს 1876 წ. ყრილობამ თელავის სასულიერო სასწავლებლის სახლის განშვენების შესახებ. ამ განკარგულების საფუძვლით, სასწავლებლის მმართველობამ სთხოვა კანტორას ხვედრი ფული სახლების განშვენებისათვის, მაგრამ უარი მიიღო იმ მიზეზით, ვითომ მას (კანტორას) არა ჰქონდეს ფული. ამასთანავე კანტორამ დაუმატა, რომ თუ სამღვდელოებას ჰსურს სასწავლებლის სახლების განშვენება, იმას შეუძლიან შეასრულოს ეგ თავისის ხარჯით. ამ გვარი პასუხის შემდეგ, რასაკვირველია ხელახლად უნდა დანიშნულიყო სამღვდელოების ყრილობა ამ საგნის შესახებ საქმის დასაბოლოებლად.

რადგან 1877 წლის იანვარში უთავდებოდათ ყველი წინანდელ სასწავლებლის მმართველობის წევრთა სამღვდელოთაგან (ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ესრეთი უფლება სამღვდელოებას მიენიჭა 1867 წლიდგან—ახალი კანონების ძალით), ამისთვის საჭირო იყო დანიშნულიყო სამღვდელოთ კრება წევრთა ახლად ამორჩევისათვისაც. მართლადაც სასწავლებლის მმართველობის თხოვნით მღვდელმთავარმა დანიშნა ყრილობა 9 იანვრისათვის ამ ყრილობის მოვალეობა უპირველესად შესდგებოდა ა ორის მძიმე საქმის დაბოლოებისაგან, თუმცა, რასაკვირველია, სასწავლებლის მმართველობა სხვა ამაზედ უმცირეს საგნებსაც წარუდგენდა ყრილობას განსახილველად, როგორც ამის ქვევით იხილავს მკითხველი. დანიშნულ რიცხვს (9 იანვარს) თორმეტ საათზედ შეიკრიბნენ ერთს სასწავლებლის ოთახში თორმეტი დეპუტატი—მღვდელი. თავმჯდომარედ, მომეტებულის ხმით

---

*) „ივერია" №№ 25 და 26.

ამოირჩიეს თიანეთის მღვდელი ს. ბოდაევი, ხოლო საქმის მწარმოებლად მღვდელი მ. ხელაევი. შემდეგ ამისა იწყეს განხილვა იმ საგნებისა, რომლებიც იყო დანიშნული ყრილობისთვის. სასწავლებლის მმართველობისაგან მომზადებულს სიაში ანუ სქემაში იყო ეს მუხლები: ერთ ჯერობით შეწირულება:

1) სასწავლებლის სახლების განშვენებისა და განახლებისათვის— — — — — — — 1,600 მ.

2) ავათ-მყოფ მოსწავლეთ ხალათებისათვის— 50 მ

3) 26 ლეიბისა და 13 საბნისათვის სახელმწიფო მოწაფეთათვის — — — — — 202 მ.

4) შკაფებისა სახელმწიფო მოსწავლეთათვის და კლასების სტოლებისათვის — — — 210 მ.

5) აბანოს ასაშენებლად სასწავლებლის წყაროზედ ანუ გვირაბზედ — — — — 1,000 მ

სრულიად 3,062 მ.

ყოველ წლობით:

1) ბიბლიოთეკისათვის და სამოსწავლო ხელმძღვანელობისათვის— — — — — — — 150 მ

2) სასწავლებლის ეკონომოსს ჯამაგირი — — 100 მ.

სრულიად 250 მ.

სრულიად 3,312 მ.

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ სიაში მოხსენებული საგანი აბანოს აშენების შესახებ არ ეკუთვნის სასწავლებლის მმართველობას. ეს საგანი ეკუთვნის სემინარიის მმართველობას, რომლის მოწყრილობის ძალითაც სამღვდელოთ ყრილობას უნდა განეხილა ეს საგანი და საჭირო ფულიც დაენიშნა. რასაკვირველია ამაზედ ფულის დახარჯვა, თუ მივიღებთ სახეში სხვა უფრო არსებითს საჭიროებას სასწავლებლისას, უდროო იქნებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადო აბანოში საარული ძვირად არ ჯდება. ამ სიის განხილვის შემდეგ ყრილობამ დასდო შემდგომი განჩინება: 1) ადგილობრივის ოლქის სამღვდელოთაგან უნდა ამოირჩივნენ ხელახლად დაფარულის კენჭით წევრნი სასწავლებლის გამგეობისა, 2) უნდა განახლდეს ამ წლიდგან ათ შაურიანი შეწირულობა სასწავლებლის ბიბლიოთეკისათვის ყოველწლივ დღეიდამ სამს წლამდე, 3) მიეცეს სასწავლებლის გამგეობას სახლების განსაშვენებლად თანხმად სიისა 1,600 მ 4) მიეცეს ეკონომოსს ჯამაგირი 50 მ. წელიწადში. 5) მასწავლებელს უფ. დ. ბერძენოვს მიეცეს ახლანდელს (400 მ.) ჯამაგირს გარდა კიდევ 100 მ. 6) მღვდელს ი. ლაშხაუროვს უარი გამოეცხადოს სასწავლებლის სასარგებლოდ სარჯიდგან განთავისუფლებაზედ. — ამით გათავდა ყრილობის სხდომა 9-ს იანვარს.

მეორე დღეს, 10-ს რიცხვს, დილით მოევლინათ დეპუტატებს თავმჯდომარე და შემდეგ დაეკარგათ თორმეტ საათამდის. ბოლოს, როგორც იყო ჩაიგდეს ხელში თავიანთ წინამძღოლი და ერთის ხმით გადასწყვიტეს, რომ ჩვენ სასწავლებლის სახლების განშვენებისათვის ერთ გროშსაც ვერ შევსწირავთო, თუმცა გუშინ ყველამ ერთ ხმად გადავსწყვიტეთ შეწირვაო. თავმჯდომარემ დეპუტატების თანხმობით საქმის მწარმოებელს სთხოვა, რომ იმას დაეხია წინადღის განჩინების ოქმი და ხელახლად შეედგინა. ამან უარი გამოაცხადა ამისთანა წინადადების ასრულებაზედ. მაშინ თავმჯდომარემ მუქარით და თავისის უფლების და ძალის გრძნობით უთხრა ამაყად საქმის მწარმოებელს: „არც მაგრე გსაჭიროებთ, უთქვენოთაც შემიძლიან შევადგინოთ ახალი განჩინება და ხელი მოვაწეროთო.“

— ვიქადი თავს იმით, რომ მე იქამდის არა ვარ ზნეობით დაცემული, რომ რაც ერთხელ მითქვამს და დამიწერია, შემდეგ მე შევსცვალო მოუფიქრებლად, ანუ მავნე და ბოროტას პირების რჩევით. მე ამისთანა საქმეში თანამონაწილედ და თანამგრძნობელად არ გაგიხდებით; კანონების ცოდნის გარდა, მე მაქვს და მინდა დავიცვა კაცური სიტყვა და კაცური პატიოსნება, უპასუხა საქმის მწარმოებელმა.

— ოღონდ შენ ეს განჩინება გამოსცვალე და ჯილდოზედ წარგადგენთ მღვდელმთავართან ერთგულის სამსახურისათვის, როგორც მყოფს გამგეობის წევრს, ეუბნება თავმჯდომარე.

— ჩემთვის არ არის საჭირო, რომ მთავრობის წინ მაქოთ. მე ვსცდილობ თავიდგან ავიცილო მაგისთანა პატივი, უპასუხა ხელაევმა.

არც ერთმა მაინც თავიანთი სიტყვა არ გატეხა. ბოდაევმა თითონ შეადგინა განჩინება, რომელზედაც ყველა დეპუტატებმა მოაწერეს ხელი. აი ამისი შინაარსი. ახალს განჩინებაში შეუცვლელად დარჩა წინადღის გარდაწყვეტილების 1, 2, 4, 5 და 6 მუხლნი, რომელნიც

შეეხებოდნენ სასწავლებლის მმართველობის წევრს, ბიბლიოტეკას, ეკონომოსს, მოსამზადებელის კლასის მასწავლებელს და მღვდელს დაშხაუროვს. ამას გარდა ხელახლად შედგენილის განჩინებით სამღვდელოებამ 1) უარი სთქვა 1,600 მანეთის შეწირვაზედ სახლების გასაშენებლად და ეს საქმე, ვითომც 15 ოკტომბრის 1874 წ. სამღვდელოთ კრების განჩინების ძალით, მიანდო ანუ დააკისრა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას, 2) ავათმყოფ მოსწავლეთა ხალათებისთვის 26 ლეიბის და 13 საბნისათვის სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულ მოსწავლეთათვის, ეგრეთვე შკაფებისა და სტოლებისათვის დასდო 100 მანეთი, რომელიც წინა ურიდობაზედ შესწირა სამღვდელოებამ და რომლიდგანაც ერთის წლის განმავლობაში 26 მოწაფეთ ეძლეოდათ საჭირო წამლეულობა.

(შემდეგი იქნება.)

. . . . .

## მგზავრის წერილები

### სვანეთზედ

(დასასრული *)

მინდვრებში და სახნავ-სათესს მიწებში, კაცებზედ უფრო ხშირად—ქალები მუშაობენ; კაცები ვალათა ჰსცობენ, თავისის ცოლ-შვილის დაფარვას ტყის ნადირისაგან და შინაურის მტრისაგან; და თუ მუშაობას მიჰყოფენ ხელს, მხოლოდ—ქალების დასახმარებლად. ჩვენ კაცებსა, თბილს მზეზედ მჯდომიარეს და მოლაპარაკესა ვხედამდით მუდამ; და მათს დედებს, ცოლებს, ქალი-შვილებს კი—მინდვრებში მშრომელებს. თუმცა კი ძნელი და ჯაფით სავსე ცხოვრება აქვთ სვანეთის ქალებსა,—მაგრამ, ისე მშვენიერნი არიან, ტანადნი, ცოცხალნი და ძალიან ეშხიანი-ლამაზნიც, რომ არც ერთი ქალი არ შეგვხვედრია, რომ მოსაწონი არ ყოფილიყოს. უმთავრესად, ქალები—ქერანი არიან; დიდი-ცისფერი თვალებით და საკვირველის წმინდა პირის-ფერით. რამდენიმე ქალი შეგვხვდა, რომელნიც თავისის სოფლის ნახირსა ერეკებოდა. ამათ რომ დაგვინახეს, ერთმანეთის-შუა ხუმრობა დაიწყეს, რომ ჩვენ კარგათ შეგვეხედნა იმათთვის; თურმე, ძალიანაც გაგვიწყრნენ, როგორც ჩემმა სვანმა-ჩაფარმა მითხრა, რომ მათს სილამაზეს ღირსი ყურადღება არ მივეცით. უცხო კაცთან, თუ ბევრნი არიან სრულებით არავითარი მორცხობა არა აქვთ და არას დროს მგზავრს არ მოერიდებიან, მეტადრე ჩვენისთანას. აქედამა ცხადათ სჩანს, რომ სვანეთში დედა-კაცს დიდი თავისუფლობა აქვს მინიჭებული, ასე რომ ისე დამდაბლებულნი და დაჩაგრულნი არ არიან, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებშია გახშირებული ქალის დაჩაგვრა და დამდაბლება.—ეს, ქალების, თავისუფლება იმ მიზეზით არის, რომ—საზოგადოთ სვანეთში ქალები ძალიან ცოტანი არიან. სვანებს საშინელი ჩვეულება ჰქონდათ, რომ დაბადებულს ქალს მაშინათვე ახრჩობდნენ ხოლმე; და ცოლებსა კი ხან სხვა მაზრებში ჰყიდულობდნენ, ხან—იტაცებდნენ. ახლა, ეს ჩვეულება მთავრობამ სვანებს გადააგდებინა, მაგრამ, საუბედუროთ, მოშორებულს სვანეთის სოფლებში კი ეხლაც იპოვება ზოგიერთი მცხოვრებელნი ამ გვარის აზრისანი და ამ ბოროტის საქმის მომქმედნი.

სვანები ქალებსა პატივსა სცემენ, როგორც იმგიათს სულიერსა-ადამიანსა და ძვირ და ძნელს საპოვნელსა და საშოვარსა. სვანეთში არ იპოვება ქვრივი დედა-კაცი. დედა-კაცი თუ დაქვრივდა, იმ წამსვე რამდენიმე მოარშიყე საქმროები გამოუჩნდება; არა თუ ერთი საქმრო, არამედ—ბევრნი თავს-იკვლენ მისთვის, რომ რამდენიმე მოცილეთა შორის მე მერგოს ცოლათა და არა სხვასაო. სვანეთში საშინელი და გახშირებული გარყვნილობა არის. ასე, მაგალითად, როცა სოფელს ბეჩოს ვიყავით, ბევრმა ერთი და იგივე ამბავი მითხრა, რომ მამა, საკუთარს თავის ქალი-შვილს, გასათხოვარს, ქირით მისცემს ხოლმე რომელიმე კაცს, თვეობით, სამ მანათათ, ხუთათ, ანუ წლობით, რომ ცოლის მნიშვნელობა აღასრულოს მოქირავნეს კაცს; და მამა ამ პირობასაც უდებს რომ თუ ქალს ვაჟი ეყოლა, მოქირავნემ ქალი მისის ბავშვით—მამას უნდა დაუბრუნოს; და თუ ქალი ეყოლა—მაშინ მოქირავნეს უფლება აქვს, იქამდინ იყოლიოს ქალი სანამდისინ ვაჟი არ ეყოლება. ეს საზარელი ამბავი მითხრა, სხვათა შორის, იმ კაცმა, რომელიც გაბმულია ამ გვარს საქმეში. არც ერთს ქმარს არ შეუძლიან თავის ცოლს დაუშალოს სადმე საარშიყოთ წასვლა, ვისთანაც უნდოდეს, იმიტომ რომ ქმარს ეშინიან, თუ დაუშალა

(*) ივერია №№ 19, 21, 22, 23 და 24.

ცოლი გამექცევაო და ჩემს მტერთან და მოღალატესთან დადგებაო; ამ სიფრთხილისა გამო—გარყვნილობა ჰმეფობს სვანეთში. თუ ცოლს სხვისაგან ეყოლება შვილი,—ქმარი თავისათა სთვლის; და არა სწყინს ეს საქმე ზემოხსენებულ მიზეზებისა გამო. ერთის სიტყვით, სვანეთის ქალები უსირცხვილოთ მგზავრს დააყენებენ ხოლმე და თავის თავსა და ტანს—უთავაზებენ დიდის მოწადინებით; ჰსთხოვენ ხოლმე მგზავრსა მრთელის დღით იმათთან დარჩომასა, და ყოველი ქალი, დედა-კაცი და გასათხოვარიც, მოხუცებულიც და ახალგაზდაც—მზათ არიან მგზავრისათვის. კაცებს დაშლა, ქალების სურვილისა—არ შეუძლიანთ, იმ შიშით, რომ ქალები თავს დაანებებენ ქმრებსა, და ამათ ბევრი ხანი, ჯაფა და გაჭირება დასჭირდებათ, მანამ სხვა ქალებს იშოვიან, ან მოტაცებით, მოპარვით, ან ჩვეულებრისა მებრ შეირთავენ. ერთის სიტყვით, სვანეთში, მრთლად—ქალების ხელმწიფობა ყოფილა!

თუმცა სვანები დიდი ხანია რაც ქრისტიანები არიან მაგრამ 1873 წლამდინ ყოველს ქმარს ორ-ორი და სამ-სამი ცოლი ჰყავდათ; უმეტესად ორ-ორი; ესე იგი ქმარს უფლება ჰქონდა მხოლოდ ორს ცოლზედ, რომელთაც უსათუოთ ქმრის ოჯახში უნდა ეცხოვრნათ; და ამ ორს ცოლსა გარეთა ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი სხვა საყვარლები ჰყვანდათ, და ეს ყოფა-ცხოვრება, სვანებს ხასიათში ისე დაუმკვიდრდათ, რომ—უბრალო საქმეთ მიაჩნიათ. 1873 წელსა, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა სვანეთი მოიარა და სვანებს თავის ცოლებთან კანონისამებრ აშორებდა და თითო ქმარს თითო ცოლი დაატოვებინა. მაგრამ ხალხის ხასიათმა და სამაგელმა ჩვეულებამ, კანონს დასძლია, და ხალხმა არ დაიშალა რამდენიმე ცოლის ყოლა.

სვანები, მმართებლობის პირებს ყოველთვის ეუბნებიან, რომ თქვენის კანონებით, ჩვენ შესახებ, ყოველისფერი აღსრულდეთო—ოღონდ-ჩვენს, მამა-პაპიდამ დადებულს ხასიათებს, ჩვეულებას და დაწესებულებას ნუ დაარღვევთო!

აზნაურ-შვილების ქალები, მიიღებენ ხოლმე ყველას, დიდის გაბედვით და არა მორცხობით, წმინდა აღმოსავლეთის ქვეყნების ღირსებითა. ტანთ-აცვიათ აბრეშუმის წითელი კაბები, განიერი ვერცხლით შემოჭედილი სარტყლით; თავი—ბაღდადით შეხვეული აქვთ; ყურებში დიდი ვერცხლისა ანუ ოქროს მრგვალი საყურები აქვთ. სუყველა ქალებს—საზოგადოთ, ტანისამოსი წითელი აცვიათ, აბრეშუმისა ანუ მატყლისა; სვანების ქალების ტანთ-ჩაცმა ქართველის ქალების ტანთ-ჩაცმასა ჰგავს. რაც უფრო მცირე წლოვანი ქალია, ტანისამოსის ფერი უფრო წითელია; ახალგაზდა ქალებს ხშირათ თეთრი კაბები აცვიათ, და რაც ხანში შედის დედა-კაცი—უფრო წითელს და წითელს კაბებს იცმენ.

სვანი, რომ შეხვდეს მგზავრსა—ადვილი საცნობია; მისი პირის სახე, მთის კაცის სახესა ჰგავს,—მთიულსა, ფშავსა და ხევსურსა, როგორათაც თავის-სარქველითა, აგრეთვე პირის-სახითაც; შეხედვა—მოჭმუნხვნილი აქვს; მთის ბუნებამ ერთი და იგივე ბეჭედი დასჭრა როგორც სვანსა, აგრეთვე ზემო-მოხსენებულს მთის ხალხსა. სვანის სიმაღლე—შუათანა ადამიანის სიმაღლეზედ-უფრო მაღალია; და ძალიან ჯან-მრთელი ტანის აგებულობისაა. სვანის ჩაცმა ცოტათი განესხვავება მეგრელების და იმერლების ჩაცმასა. ჩოხა—მსხვილი შალისა იციან და თავზედ ზაფხულსა და ზამთარს სხვა და სხვა ქუდები ჰხურავთ. ზამთარში ჰხურავს მაღალი ნაბდის წვეტ-ჩავეცილი ქუდი; ზაფხულში კი—პატარა, ერთი მაურიანის-ოდენა, ფაფანიკი, რომელსაც ხან და ხან შურდულის მაგივრათაც ჰხმარობს. თავზედ თმა მუდამ გაპარსული აქვს ზედ კეფაზედ და ამ გაპარსულს ადგილს ეს ფაფანაკი აფარია. ფეხზედ აცვია, ზამთარს, და ზაფხულსაც—ქალამანი; მხოლოდ ზამთარში ფეხზედ თივას დაიხვევს ხოლმე და მერმედ ზედამ ქალამანს ჩაიცვამს, სითბოსათვის; პერანგი და მისი ამხანაგი სქელი ტილოსია, სახლში ნაქსოვი; და მუდამ თავიდამ ფეხამდის სხვა და სხვა იარაღებით—შეიარაღებულია; თოფი, დამბაჩა, ხმალი, ხანჯალი, შუბი, დანა და სხვა შეადგენს სვანის ჩვეულებრივს იარაღსა.

სვანს, როგორც სხვა მთის ხალხს, გამჭრიახი გონება აქვს; მისი ენა, როგორც ზემოთა ვსთქვი, ქართულს ენასა ჰგავს, საკუთარი წერილები არა აქვს; თუ სვანურად იწერება რამე—ქართულის ასოებით იწერება. სხვა და სხვა ავეჯეულობის სახელები, სულ ქართული გადასხვაფერილი

და გადაკეთებული სიტყვებია; ავეჯულობაც სწორეთ იმნაირი აქვთ, რანაირიც საქართველოს ხალხსა აქვს. სვანური ენა განინაწილება, ორს გამოთქმათ: ერთი—„დაბალ სვანეთის“ გამოთქმათ, მეორე— „ზემო სვანეთისად. პირველში უმეტესად მეგრული სიტყვებია, და გამოთქმაც, მეორეში—ქართული. მეორე გამოთქმა უფრო ცხადია, წმინდა, ვიდრე პირველი,—და ადვილათ ითარგმნება ქართულად. თვითან სვანები თავის ქვეყანას ეძახიან „შვანარ,“ და თვითონ ხალხს—ხან „შანი,“ „შვანი“ ხან „სვანი.“

ზეპირ-მოთხრობითი ამბავი სვანებისა, ამბობს, რომ, ვითამც, თვითან იესო ქრისტემ გაქრისტიანა სვანები, რომელიც, ვითამც, სვანეთში ცხოვრებდა,—და მას აქეთ სვანებს თავისი ჭრწმუნება არ გადუცვლიათ. თუმცა სვანებში მაჰმადიანისა და ებრაელის ჭრწმუნებისანი ბევრნი არიან; ასე—სოფელი „ლაშხეთი“ და „ხალდე“ სავსეა ამ ნაირის ჭრწმუნების ხალხითა, თუმცა კი ამ სოფლებში მართლ-მადიდებელი ძველი ეკკლესიებიც ყოფილა.

სვანები საკეისრონი იყვნენ; ესე იგი კეისრის მამულებში ჰსცხოვრებდნენ; სვანები-თამარ-მეფეს—კეისარს ეძახიან. მათი ზეპირ-მოთხრობითის ამბებში და სიმღერებში მხოლოდ ერთს თამარ-მეფეს იხსენიებენ და არა სხვა მეფეებს. სვანები ამბობენ, რომ თამარ-მეფე იმათ ქვეყანაში ცხოვრებდა, რადგანაც სვანეთი საქართველოს შუაგული იყოო, და ისე უყვარდა სვანეთი, რომ ბევრს საყდრებს და ეკკლესიებს აშენებდაო, და ერთი სვანი ამოირჩია თავის ქმრათაო; და ვითამც თამარ-მეფის საფლავიც სვანეთში არისო.

სვანებს, ზნეობა და ხასიათი იმ ნაირი აქვთ, რანაირიც მთიულს ხალხსა; თავისი სამშობლო დიდათ უყვართ, ასე რომ ბევრი მოხუცებული სვანია, რომელნიც თავის სოფელს არ გაცილებულან და გარეთ არ გასულან. ხშირად ამბობენ, რომ სვანები სასტიკი და უწყალო და უგრძნობელი ხალხიაო; მაგრამ მე ამას ვერ ვიტყვი, რადგანაც ეს არის საშინელი უმეცარი და ტლანქი სიცრუვე; სვანები ადვილათ მიხვდებიან ხოლმე ყოველს საქმეს და დიდ ხანს ახსომთ კეთილი მოქმედება და საზოგადოთ, გულ-კეთილი და მხიარული ხალხია; სისხლის-ძიება საშინლათ არის გავრცელებული სვანეთში. მამის სისხლსა და ნათესავისას—მეშვიდე მუხლამდინ ეძიებენ სვანები. ერთ-მანეთს შუა სოფელსა და სოფელს შუა და საზოგადოებასა და საზოგადოებას შუა საშინელი მტრობა აქვთ. საკუთარს ოჯახში და გარეთაც სვანი თავის სისხლის მაძიებელთან შეხვედრას ერიდება; დიდის გულ-მოდგინებით დასჩვდებიან ხოლმე სვანები მეზობლის ხალხის მტრებს—და როცა დაამარცხებენ, მაშინ აუცილებლათ ერთ-მანეთს თავ-თავისი მტრობა და შური მოაგონდებათ, და ამას მოჰყვება ხოლმე საშინელი ჩხუბი, აყალ-მაყალი და ერთმანეთის ხოცვაცა.

მთელს „თავის-უფალს“ სვანეთში, არც ერთი თავადი-შვილი არ არის; ამ დემოკრატიულს ქვეყანაში, აზნაურებს აქვთ უფლება, რომ წელიწადში ერთხელ თავის ნაყმევ კაცებს სადილი მოსთხოვონ, და ერთ სისხლში ორი სისხლი გამოართვონ. მაგრამ, გლეხობისა და და აზნაურობის წოდების კაცები ერთ-მანეთ შუა არ განსხვავდებიან; მხოლოდ აზნაურებს აქვთ რაღაც ნაირი შეთვისებული ზვავობის, სილაღის და ამაყობის ხასიათი და გლეხნი უგრძნობელათ უთმობენ ხოლმე აზნაურებს მათს ამაყობას. საზოგადოთ ხალხი გულ-კეთილი, მხიარული, მართლის-მთქმელი და შეგნებულია; და ცხადათა სჩანს, რომ სვანები გრძნობენ თავის ზნეობითის და სარწმუნოებითის დაცემასა.

სხვა და სხვა სნეულებათა შორის, სვანეთში გახშირებულია—ავი სნელებანი, მათის გარყვნილობისაგამო; საშინლათ არის გახშირებული „თიადორის“ სნეულება; და როგორც ჭაქიმმა მითხრა, ვითამც წყლის მიზეზი უნდა იყოს; მაგრამ არა მგონია, რომ წყალმა ამგვარი ზიანი და მავნებელი თვისება იცოდეს; ამის მიზეზი—სხვა უნდა იყოს. ყელში „თიადორით“ სვანები, მრავალია, როგორც კაცი, აგრეთვე ქალი; მაგრამ უფრო მოხუცებაში იცის; ეს სნეულება არაფრად მიაჩნიათ სვანებსა. საკვირველი ეს არის, რომ ლეჩხუმში და რაჭაშიაც არის გახშირებული ეს სნეულებანი, კრეტინიზმს

რომ ქასიან. სვანები ამ სნეულებას ქასაან „თიადორას;“ და ჩვენ კი „ყიყვს.“

უნებურათ დამაფიქრა იმ ჭაზრმა, რომ ხშირად მთებში მცხოვრები ხალხი, მრისხანე, გაგულისებული, შეჩვეული სხვა და სხვა დანაშაულობას, შეცოდებას, მაინც თავისის ბუნებითის ხასიათით, და ბუნების ზედ-მოქმედებით, ადვილათ მიიკარებს და შეითვისებს ხოლმე ყოველს კეთილს საქმეს და კეთილს გრძნობას! ეს რასაკვირველია ბუნების ზედ-მოქმედებისაგან მოსდის ხალხს.

ადამიანის საზოგადოების გაცნობა და შესწავლა, რომლის ჩამომავლობა და ნამდვილი ამბავი იკარგებ უძველეს დროთა ტრიალში, არის პირველი გამოსადეგი და სასურველი შრომა ყოვლის კაცისათვის; აქაასჩანს, ხალხის პირველ დაწყებითი უსაკო მდგომარეობა მისის ქვეყნის-მოქმედებითა და მანკიერებითა. ამ გვარის ხალხის ენისა, და ზნეობის და საქციელის გაცნობით—ადვილათ განისაზღვრება და გაირჩევა მისი ჩამომავლობა. ამ მხრით მინდოდა, სვანების გაცნობა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, მოკლე ხნით ყოფნამ ქვეყანაში, სვანეთში, ნება არ მომცა ეს სასურველი შრომა გამეწია. ასე, რომ ამას გარდა, რაც მოგახსენეთ, პატივ-ცემულო მკითხველო, სხვას ველარაფერს ვიტყვი; და ვგონებ, რომ არ გამკიცხავთ და არ დამძრახავთ, რომ ეს მცირე მგზავრობის წერილები მოგართვით სვანეთის მცირედის გაცნობისათვის

როდესაც, ყოველისფერი, მთავრობიდამ მონდობილი საქმეები შევასრულე სვანეთის შესახებ, იმავე გზით ქუთაისში დავბრუნდი მარიამობისთვის უკანასკნელ დღეებში; მაგრამ მთელი დრო ცუდი ამინდი იყო მგზავრობისათვის და ლათფარის გარდასავალზედ კი დიდი თოვლი იდო, რომელმაც კარგა გაგვიჭირა მგზავრობა. ამის გამო, ამ მობრუნებაზედ—მე და ჩემმა მგზავრებმა უფრო მეტი გაჭირება და შეწუხება ვნახეთ მგზავრობაში, ვიდრე იმ დროს, როდესაც გახარებულის გულით ამ სასურველს ქვეყნისაკენ ვეშურებოდით.

კოტე სანინელი

1877 წ. 22 მარიამობისთვეს.
სოფ. სანინო, გორის უეზდისა.

---

**სახელმძღვანელონი, შედგენილნი ი. გოგებაშვილისაგან.**

**ქართული ანბანი** და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ახალი კრცელი და შეცვლილი გამოცემა, ფასი ორი შაური. ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში კუკიის ხიდთან. ვინც ნაღდ ფულზედ ასს, ან მომეტებულს ეგზემპლიარს ერთბაშათ იყიდის, იმას ეგზემპლიარი დაეთმობა 9 კაპეიკათა.

**დარიგება** მასწავლებელთათვის შესახებ ხმარებისა წინეთ მოხსენებული წიგნისა, ფასი ერთი შაური, ისყიდება იქვე და მელიქიშვილის სტამბაში.

**დედა ენა,** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, გამოცემა პირველი, შემკული მრავალი სურათებითა, ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური, ისყიდება კართანოვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდზედ. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ერთათ ოც და ათ ეგზემპლიარსა, ან მომეტებულსა, იმას დაეთმობა უყდო ეგზემპლიარი ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათ.

**ბუნების კარი,** ანუ საკითხავი წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტითა, ფასი ხუთმეტი შაური. ისყიდება კართანოვის მაღაზიაში. ეგზემპლიარი დაეთმობათ თოთხმეტ შაურათ, ვინც თხუთმეტ ეგზემპლიარს ერთათ ნაღდ ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც და ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ას ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ვისაც სურს ყდაში გადაკრული მიიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**საყმაწვილო კონა** პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური. ისყიდება თფილისში კართანოვის და გრიქუროვის მაღაზიებში და ქუთაისში სვიმონ ჩომახიძესთანა.

---

**თვით-მასწავლებელი** წიგნი ქართული ენისა შედგენილი და გამოცემული გაბრიელ ტერ გაბრიელიანცისაგან. ფასი 50 კაპ.

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## ხვანჭკარის გამსესხებელ შემნახველ-ამხანაგობისა
## პირველის ნახევრის 1877 წლისა.

### 1877 წლის პირველს იანვარს ირიცხებოდა

| შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი: | | | გ ა ს ა ვ ა ლ ი: | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული | 1253 | 25 | სესხები | 1,375 | „ |
| სასარგებლოთ შემოტანილი | 55 | „ | ნაღდი ფული | 27 | 51 |
| 1876 წლის მოგება | 94 | 62 | | | |
| ს უ ლ | 1402 | 51 | ს უ ლ | 1,402 | 51 |

### პირველის იანვრიდამ პირველს ივლისამდე

| შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი: | | | გ ა ს ა ვ ა ლ ი: | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული | 542 | 45 | გასესხებული | 2,679 | „ |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების დროს | 287 | 83 | იგივე ახალი ვადა მიცემული | 392 | „ |
| დაბრუნებული ნასესხი | 1,017 | „ | ვადას წინ სესხის სარგ. | 6 | 29 |
| იგივე ახალი ვადა მიცემული | 156 | „ | სასარგებლოთ შემოტანილი | 35 | „ |
| ჯარიმა | 6 | 19 | ამის სარგებელი | „ | 2 |
| სასარგებლოთ შემოტანილი | 479 | „ | სამართველოს ხარჯი | 23 | 30 |
| ვალათ აღებული | 1,000 | „ | ვალის სარგებელი | 65 | „ |
| სათადარიგო თანხა | 19 | 7 | სააღებ-მიცემო | 19 | 7 |
| ს უ ლ | 3,507 | 54 | ს უ ლ | 3,219 | 68 |

### 1877 წლის პირველის ივლისისათვის არის.

| შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი: | | | გ ა ს ა ვ ა ლ ი | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული | 1,795 | 70 | სესხები | 3,273 | „ |
| სასარგებლოთ შეტანილი | 499 | „ | გასასაში ნაღდი ფული | 315 | 37 |
| ვალი | 1,000 | „ | | | |
| სათადარიგო თანხა | 19 | 7 | | | |
| მოგება ამ ნახევარი წლისა | 274 | 60 | | | |
| ს უ ლ | 3,588 | 37 | ს უ ლ | 3,588 | 37 |

გამგებლობის წევრნი: დავით ნანუკოვი.
მინა გიორგობიანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Августа 1877 г. Типографія Е. Хеладзе, რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე